

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 4 6 4

ქ. ბათუმი, 25 ივნისი 2015 წ

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-სათვის უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2015 წლის 02 ივნისს N518 (მერიაში რეგ/№14425/25) წერილით მომართა ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტის მდივანმა თ.ჩხაიძემ და ითხოვა ბათუმის წმინდა ბარბარეს სახელობის ტაძრის გადახურვისათვის 1500 ც. კრამიტის გადაცემა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 08 ივნისის №25/11068 წერილის პასუხად, სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს 2015 წლის 25 ივნისის №1/307 კორესპონდენციით, მიზანშეწონილად მიჩნეული ბათუმის წმინდა ბარბარეს სახელობის ტაძრის გადახურვის მიზნით საქართველოს საპატრიარქოსათვის 1500 ც. კრამიტის გადაცემა.

„ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 ივნისის №37 განკარგულებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცა თანხმობა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 2910,0 ლარის საერთო ღირებულების 1500 ცალი კრამიტის უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით სსიპ „საქართველოს საპატრიარქოსათვის“ გადაცემაზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა.“ „დ.გ.“, „ე.ე“ ქვეპუნქტებისა და „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 ივნისის №37 განკარგულების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-ს უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადაეცეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2910,0 ლარის საერთო ღირებულების 1500 ცალი კრამიტი.

2. დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატს წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების გადაცემის თაობაზე შესაბამისი ხელშეკრულების მომზადება.

3. წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებული ქონების სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-სათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის ხელშეკრულებაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამ-

სახურის ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მთავარ სპეციალისტს
ლევან აბუთიძეს (პირადი ნომერი №61001054502).

4. წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქ. ბათუმის
მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს (ზ. ბერიძე).

5. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის ინტერნეტგვერდზე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის:
ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი